

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზუბის თემის მაჟორიტარი წევრის შოთა ომანაძის ანგარიში 2019 წლის გაწეული მუშაობის შესახებ

2019 წლის განმავლობაში ზუბის თემში არაერთი პრობლემა გადაიჭრა სხვადასხვა მიმართულებით. მოსახლეობისაგან ამ პრობლემებზე საუბარი იყო როგორც წერილობითი სახით, ასევე სხვადასხვა შეხვედრების დროს. ამ ურთიერთობებში ჩართული ვიყავი, როგორც თემის მიერ არჩეული საკრებულოს წევრი. შეხვედრებზე მოსახლეობის ძირითადი პრობლემები იყო სოფლის შიდა გზები და სასმელი წყლით მომარაგების საკითხის მოგვარება. პრობლემების შინაარსი ჩემს მიერ დაყენებულ იქნა საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელობის წინაშე და მათი უმრავლესობა მოგვარებულ იქნა.

2019 წლის პირველ თვეებში დაწყებულ იქნა სოფლის პროგრამებით გათვალისწინებული სამუშაოები და ყველა მათგანი შესრულებულია ბოლომდე. მათ დაგეგმვაში, პრიორიტეტების განსაზღვრაში და შემდეგ შესრულების პროცესის კონტროლში მოსახლეობასთან ერთად აქტიურად ვიყავი ჩართული.

საკმაოდ მოცულობითი ინფრასტრუქტურული სამუშაოები იქნა განხორციელებული 2019 წლის განმავლობაში ზუბის თემში. კერძოდ: მოეწყო 250 მეტრამდე ბეტონის საფარიანი გზა სოფლის შესასვლელში; დასრულდა 2018 წელს დაწყებული სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები; გაკეთდა ზუბი-ისუნდერი-მახურას საავტომობილო გზის დაპროფილება და მოხრეშვა (თუმცა აღნიშნული სამუშაოები ნაწილი დარჩენილია შეუსრულებელად და დაყენებული გვაქვს საკითხი პრობლემის მოსაგვარებლად); სოფელ მახურაში მოეწყო სანიაღვრე არხები და შესრულდა გარე განათების სამუშაოები, რაც სოფლის მოსახლეობის მოთხოვნა იყო; სოფელ ისუნდერში ფაქტობრივად მოგვარდა მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა და ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი სამუშაოები შესრულდა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სათავე ნაგებობებს და ახლით შეიცვალა დაზიანებული

მიღები; დასრულდა მარტივი ტიპის სავარჯიშო ტრენაჟორების მოწყობა; დასრულების სტადიაშია ასევე მოსახლეობის მიერ მრავალგზის მოთხოვნილი ხელოვნურსაფარიანი მოედნის მშენებლობა, რომლის ღირებულება 75000 ლარია.

ჩემს მიერ შესწავლილ იქნა თემის მცხოვრებლების სოციალური მდგომარეობა მათი მომართვის შემდეგ. ჩემი რეკომენდაციით და მერიაში შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ მათ გაეწიათ მატერიალური დახმარება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამისი სოციალური პროგრამებიდან;

მნიშვნელოვანი იყო ჩემი ჩართულობა მოსახლეობის საშემოდგომო სამუშაოების ნორმალურად ჩატარებისათვის. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ჩართულობით კოორდინაცია გავუწიე რთველის მიმდინარეობას. ზუბის თემიდან მოსახლეობამ ჩააბარა დაახლოებით 150 ტონა სხვადასხვა ჯიშის ყურძენი, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათ შემოსავალს. ნორმალური ვითარებაა მოსახლეობის შემთხვევით მომარაგების კუთხით.

ჩემი ინიციატივით დაყენებული საკითხი სოფელ ზუბის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილია და მომავალი წლისათვის არის დაგეგმილი. 2020 წლისათვის დაგეგმილია ასევე სოფელ ზუბში ომში დაღუპულთა მემორიალის მოწყობა, რაც მოსახლეობის დიდი სურვილია.